გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

თებერვალი 2010

აპოსტილი

საქართველო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არიან „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციის წევრი-სახელმწიფოები (ფედერალური კანონების ბიულეტენი 1965 II, გვ. 876), რომელიც ორივე ქვეყნისთვის ძალაში შევიდა 2010 წლის თებერვალში. ამ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე უქმდება ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნა.

ლეგალიზაცია იცვლება აპოსტილით დამოწმებით.

დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება ხდება იმ ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომელმაც გასცა ეს დოკუმენტი. აპოსტილის აღნიშვნა კეთდება უშუალოდ დოკუმენტზე, ან მასზე მიმაგრებულ სპეციალურ ფურცელზე. აპოსტილით დამოწმება გულისხმობს დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, შესაბამის შემთხვევებში ამ დოკუმენტზე დატანილი ბეჭდის, ან შტამპის აუთენტურობის დამოწმებას. აპოსტილით დამოწმებას აწარმოებს იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო, რომელმაც გასცა ეს დოკუმენტი.

იმისათვის, რომ ქართული ოფიციალური დოკუმენტების ნამდვილობა ცნონ გერმანიაში, ისინი უნდა დამოწმდეს აპოსტილით საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ. იმის მიხედვით, თუ რა სახისაა ესა თუ ის დოკუმენტი, განისაზღვრება, თუ რომელ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა მოხდეს მისი აპოსტილით დამოწმება:

- სამოქალაქო მდგომარეობის დამადასტურებელი მოწმობების აპოსტილით დამოწმებას აწარმოებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (www.cra.gov.ge)
- სასამართლო გადაწყვეტილებების აპოსტილით დამოწმებას აწარმოებს საქართველოს უზენაესი სასამართლო (www.supremecourt.ge)
- სკოლის ატესტატებისა და უნივერსიტეტის დიპლომების აპოსტილით დამოწმებას აწარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (www.mes.gov.ge)

მას შემდეგ, რაც მოხდება ამა თუ იმ დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება, შესაძლებელია მისი გამოყენება გერმანიის სამართლებრივ სივრცეში.

საჭირო ინფორმაცია:

საქართველოს უწყებებში წარსადგენი **გერმანული** ოფიციალური დოკუმენტები (მაგ.: გერმანული დაბადების მოწმობა, ან ცნობა ქორწინებაში არყოფნის შესახებ, რომელიც საჭიროა საქართველოში დაქორწინებისთვის) უნდა დამოწმდეს აპოსტილით გერმანიის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში. თუ რომელი ორგანო აწარმოებს აპოსტილით დამოწმებას, ეს დამოკიდებულია შესაბამის ფედერალურ მიწაზე. გერმანიის საელჩო თბილისში არ აწარმოებს გერმანული ოფიციალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებას. შემდეგ ლინკზე შეგიძლიათ იხილოთ, თუ გერმანიის რომელი ადმინისტრაციული ორგანო აწარმოებს გერმანული ოფიციალური დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებას:

http://www.konsularinfo.diplo.de/Vertretung/konsularinfo/de/Downloads/05/Urkunden__Deutsche__oeffentliche__imAusland,property=Daten.pdf

თბილისში გერმანიის საელჩოს
იურიდიული და საკონსულო განყოფილება

პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

ამ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ემყარება საელჩოს გამოცდილებასა და ვითარების ანალიზს ტექსტის შედგენის მომენტისათვის. საელჩო ვერ იქნება პასუხისმგებელი ინფორმაციის სრულყოფილებასა და სიზუსტეზე.